№ 66

პარასკევი, 27 მარტი, 1898 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 66

პარასკევი, 27 მარტი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რევსიმე იოსების ასული, ზაქარა, ივანე, ადამ და სერგეი იაკობის ძენი იარალოვები, ნინო იაკობის ასული მურადოვისა, ელისაბედ გაბრიელის ასული, ელისაბედ მიხეილის ასული და ევა იაგორის ასული იარალოვები აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა

იაკობ გრიგოლის ძის იარალოვისას,

სთხოვენ მოპრძანდნენ, დღეს, დილის 7 საათზედ, მიცვალებულის გვამის გასასვენებლად საკუთარის სახლიდგან, კათოლიკეთა ქუჩა, № 25, რკინის გზის სადგურზედ და კვირას, 29 მარტს, დასაფლავებაზედ დასასწრებლად დაბა ცხინვალში. (1—61—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მორიგი **საზოგადო კრება ბანკის დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა** დანიშნულია ამა 1898 წ. 19 **აპრილისათვის**, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურობის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ქ. ტფილისში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1897 წლის სამოქმედო ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

3) განხილვა საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილების მოხსენებისა.

4) განხილვა მოხსენებისა სასოფლო-სამეურნეო თანხის შესახებ.

5) განხილვა მოხსენებისა იმის შესახებ, თუ როგორ განკარგდეს წესები დამფუძნებელ წევრთა ჩარიცხვისა და მიღებისა.

6) განხილვა მოხსენებისა იმის შესახებ, რომ ვენახებისა და ხეხილიან ბაღების გირაოზედ სესხი გაიცეს გირავნობის ფურცლებით.

7) განხილვა და დამტკიცება იმ მამულების მართვის წესებისა, რომელიც ბანკს დარჩენია.

8) განხილვა მოხსენებისა იმის შესახებ, რომ შემწეობა აღმოეჩინოს ტფილისის მომავალს უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებელს (წინადადება ტფილისის ქალაქის მოურავისა) და აგრეთვე კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა ზნეხასიათის გამასწორებელ და სამეურნეო-სახელოსნო ახალშენთა და თავ-შესაფართა საზოგადოებას (ამა საზოგადოების გამგეობის წინადადება).

9) განხილვა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო-დამხმარებელ კასსის წესდების პროექტისა.

და 10) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, აწ გარდაცვალებულის თავ. ავალიშვილის ნაცვლად და გამგეობის წევრის კანდიდატისა, აგრეთვე დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გიორგი სარდიონის ძის ციციშვილის ნაცვლად, რომელნიც რიგით ანებებენ თავს სამსახურს, და ორის იმათის კანდიდატისა.

ამასთანავე ზედამხედველი კომიტეტი ბანკისა აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ მათგან რწმუნების წერილების მიღება ბანკის საზოგადო კრებაში მონაწილეობის შესახებ, მოისპობა საზოგადო კრების 10 დღის წინად, ე. ი. 9 აპრილს ამა 1898 წლისას. (3—6.—3).

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი **ა. ი. რუდენკო**. $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. შუდინოვი. 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^{1}/_{2}$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი – 6 — 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ნაფიცი ვექილი
თავადი მიხეილ ნიკოლოოზის ძე
ვეზირიშვილი

სცხოვრობს გოლოვინის პროსპექტზედ, სახლი № 12, „კრუჟოკის" გვერდით. (3—59—2).

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო კოლეჟსკი ასესორობა—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-IV ხარისხის მოხელეს კანდელაკს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-V ხარ. მოხელეს—მძინარაშვილს და ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-V ხარ. მოხელეს ვაშაკიძეს. კოლეჟსკი სეკრეტრობა—სურამის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს—ლაგაძეს და დანიშნულის საფოსტო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს საბაშვილს.

◆

ახალი ამბავი

⁂ მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა, ახლად დანიშნული საქართველოს ექსარხოსი ფლავიანე კავკავიდგან 26 ნაშუადღევს წამოვა, იმ ღამეს სადგურ ყაზბეგში გაათევს, ხოლო მეორე დღეს, ე. ი. 27 მარტს, ყაზბეგიდგან მცხეთაში ამოვა ღამე აქ დარჩება, ხოლო 28 მარტს, დილით, ტფილისში ჩამობრძანდება. ამასთანავე მცხეთაში მისის მეუფების მისაგებებლად წამსვლელთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ, დილის გარდა, ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზედაც გადის მატარებელი.

⁂ აღდგომის შემდეგ ქართველი ქალები „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ „ბაზრობის" გამართვას აპირობენ. ამ აზრით ქალები ამზადებენ და ჰკერავენ სხვა-და-სხვა მშვენიერ ხელ-საქმეს. სხვათა შორის ამ საქმის მოთავეებმა დაავალეს ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ი. ქუთათელაძეს შეიძინოს და საკამისიოდ გამოგზავნოს ბაზრისათვის სხვა-და-სხვა ხელ-საქმის ნაწარმოები.

⁂ ტფილისის საკომერციო ბანკის ზოგიერთმა აქციონერმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ბანკმა მომავალის პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ 30 ათასი მანეთი გადასდოს. ამ წინადადებას წარუდგენენ მეაქციეთა საზოგადო კრებას, რომელიც აპრილში მოხდება.

⁂ 24 მარტს, მიკოლოგმა ა. ა. იაჩევსკიმ აჩვენა კავკასიის აგრონო-

---

ფელეტონი

ნაფუძეტი

პოეტო, სიბრძნის მეტყველო,
ვლხინობ მეც შენის ლხენითა,
გული მტირის, ცრემლი მდის
შენის ცრემლისა დენითა,
როცა შენ სთაფლობ, მეც ვშაქრობ,
ვრისხდები შენის წყენითა,
შენი მადლი და გავლენა
არ დაითვლება ენითა!..

დ. მაჩხანელი

◆

ი ა ლ ბ უ ზ ი.

ა. ვ. პასტუხოვისა.

(დასასრული *)

დილის 8 საათი იყო, როდესაც მუშა ალბაი ამოვიდა ჩვენთან, ბინაზედ დავტოვეთ ნაბდები და ზევით დავიწყეთ ასვლა. ციოდა და ქარმაც თანდათან იმატა. მივდიოდით გაყინულ თოვლზედ, რომელიც ზევიდგან გადაფისული იყო ლურჯის ყინულით. წრიაპები რომ არა გვქონოდა, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით. მებარგულე მუშა ჰაჯი ზალიხანოვმა იგრძნო გულის რევა და თავის ტკივილი, როდესაც 16,590 ფ. სიმაღლესთან მივედით, წაიქცა და „გაიცია". ჩვენ გადავიყვანეთ ტინების ძირში, სადაც მყუდრო იყო და მზეც დაჰყურებდა. ვუთხარი, იქ დარჩენილიყო ჩვენს დაბრუნებამდის და თუ კარგად გახდებოდა, ქვევით ჩასულიყო. ჩემთან დარჩა მარტო ალბაი, რომელთანაც ერთად, დრო რომ არ დამეკარგა, განვაგრძე გზა. აქამდის მივდიოდით ჩრდილოეთისაკენ, ეხლა-კი უნდა წავსულიყავით ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, საითკენაც საშინლად მოჰქროდა დასავლეთის ქარი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, შევნიშნეთ, რომ ჩრდილოეთიდგან შავი ღრუბლები მოცურავდა. რამდენადაც წინ მივდიოდით, იმდენად ღრუბლები უახლოვდებოდა იალბუზს და შემდეგ იმისს ქედს გადასცდა. დასავლეთის მხრიდგანაც გამოჩნდა ღრუბლები. ჩქარა ყოველი მხრიდგან მწვერვალს ღრუბლები მოეხვია; დაიწყო თოვლა და თან ქარი ჰღრიალებდა. თოვლი თვალებს გვილესავდა და ქარი სუნთქვას გვიხუთავდა, იძულებულნი ვიყავით მალ-მალე შევმდგარიყავით ხოლმე, რომ ამოგვესუნქა და თვალებზედ ხელი მოგვესვა. უეცრივ ალბაიმ გამომიცხადა: ამას ზევით ველარ წამოვალო. დავუწყე ყვედრება; თითქმის ამოსულები ვართ მაღლა და ეხლა რომ უკან დავბრუნდეთ, ხომ სირცხვილი იქნება ჩვენთვის და სხ.., სიტყვით რომ ვერა გავაწყე-რა, 10 მანეთის მომატებას დავპირდი. მან ცოტა წაიდუდუნა და მერე-კი თანხმობა გამიცხადა.

ჩქარა მივადექით კედელსავით სწორედ აღმართულ კლდეებს. ქარბუქისაგან არა სჩანდა, რომელი მხრიდგანა სჯობდა ასვლა. ვამჯობინეთ ასვლა იქითკენ, საითაც კლდე „დაღარული" იყო. დავიწყეთ ხელითა და ფეხით მოქმედება და ავედით ზევით. შემდეგ კიდევ ამნაირივე კლდეები იწყებოდა, რომლებზედაც ცოცვა თუმცა ძლიერ გვიძნელდებოდა, მაგრამ მაინც ყოველს განსაცდელს ვძლიეთ. კლდეებს ზევით იწყებოდა ალმაცერად დახრილი გზა, მოფენილი წვრილის ქვიშითა და ქვებით. ქვიშაზედ სიარული ძლიერ სახიფათო იყო, რადგანაც იგი ფეხს ვერ იჭერდა და ძირს სცურავდა. ალბაიმ დაიწყო ოხვრა, დუდუნი და მალე კვლავ გამომიცხადა, რომ ამას ზევით აღარ წამოვალო. მე კიდევ დავპირდი 10 მანეთის მომატებას... დავატანეთ ძალა ჩვენ თავს და მივაღწიეთ იალბუზის აღმოსავლეთის მწვერვალს. ნისლი და ქარ-ბუქი იქამდის გაძლიერდა, რომ ორის ნაბიჯის იქით ვერასა ვხედავდით. დავიწყე ირგვლივ ყურება და დავინახე დიდი ქვა, რომლის ახლო თოვლი სრულიად არ იყო. ამ ქვის ახლო მე გადავწყვიტე დამეყენებინა დიდი და პატარა ტერმომეტრები; ამისათვის ჩრდილოეთის მხრიდგან მოვაწყე ქვები და ზედ თუნუქის ყუთი დავდგი ტერმომეტრებით. ყუთი ტერმომეტრებით ისე იყო დადგმული, რომ აცილებული ყოფილიყო მზის, ქარის და მიწის ნიადაგის გავლენას. ტერმომეტრი აღნიშნავდა—7° სიცივეს. ტერმომეტრების საქმეს მოვრჩი თუ არა, იმ დროს ნისლი ცოტა გაიფანტა და მე შევნიშნე, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით მწვერვალის პატარა მხარზე და არა თვით მწვერვალზედ. დავანახვე ეს ალბაის და ვუთხარი, ჩემი ქურქი ძირს დაედვა, რომელიც იმას მოჰქონდა, და ჩემს უკან წამოსულიყო. ალბაიმ დამიწყო რწმუნება, რომ ზევით აღარა ჰღირს ასვლა, რადგანაც სადაც ვიმყოფებით, ესეც სიმაღლეაო. მე არ გავუგონე, წაველი წინ და ისიც უკან გამომყვა. ზევით რომ ავსულიყავით, სამხრეთისაკენ უნდა აგვევლო, საითკენაც ქარი ძლიერ სცემდა. ქარი ისე გვატანდა ძალას, რომ ფეხზე ძლივსა ვდგებოდით. ბოლოს ალბაიმ რომ ველარ შესძლო ფეხზედ დგომა, დაწვა და ხელი მწვერვალისაკენ გაიშვირა ამ სიტყვებით: „წადი, წადი, შენთან ღმერთი არ არის". სულ რამდენიმე საჟენი აღარ იყო ასასვლელი და ორის წუთის შემდეგ. მე უკვე ვიყავი იალბუზის უმაღლესს წერტილზედ.

ორი საათი იყო გასული შუა დღის შემდეგ. ჩემს ზევით იყო მარტო ცა და თოვლიანი ღრუბლები. როდესაც ვუახლოვდებოდი უმაღლესს წერტილს, ჩემ ზევით ერთი ძლიერ და-

---

*) იხ. „ივერია" № 65.

მებს ბლეკროტისა და ვაიტროტის პრეპარატები. ბ-ნი იაჩევსკი ამტკიცებდა, რომ ბლეკროტი კავკასიაში უეჭველად არსებობსო და ვენახების სენისაგან წამლობის გარდა საჭიროა მეღვინობის საქმის გაუმჯობესობაო. ამ ახლო მომავალში იაჩევსკი კახეთში აპირებს წასვლას ვაზის სხვა-დასხვა სენის გამოსაკვლევად.

⁂ ხილეულობის გამოფენა, რომელიც 27 მარტისათვის იყო დანიშნული, დაიწყობა 28 მარტს. პირველ დღეს გამოფენაზედ მხოლოდ მიპატიჟებულნი იქმნებიან. შესვლის ფასი დიდებისათვის — 50 კაპ. იქმნება, ხოლო ბავშვებისათვის — 25 კაპ. შემდეგ დღეებში ფასს დაუკლებენ, 50 კაპ. ნაცვლად 30 კაპ. იქმნება, ხოლო 25 კაპ. ნაცვლად 15 კაპ.

⁂ ტფილისის გაზეთები სწერენ, ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ საერო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა, პოლიტეხნიკუმი ტფილისში იქმნას დაარსებულიო.

⁂ ამას წინად, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გადასწყვიტა შავის ზღვის ნაპირის გუბერნიაში ერთი ნაწილი მიწისა დაურიგოს იჯარით კერძო კაცებს საუკეთესო ვენახებისა, ბაღებისა და სხვ. გასაშენებლად. გაზ. „Нов. вр.“ სიტყვით, ეს ადგილი მდებარეობს დაბა ადლერსა და ხოსტაგლის შუა და თავისის გეოგრაფიულის მდებარეობით და ჰავით მხოლოდ ხეხილის ბაღებისათვის გამოდგება, რადგანაც აქაურ ყურძენს კარგი გემო არა აქვს. ხოლო სოჩას ჩრდილოეთით და განსაკუთრებით ქ. ნოვოროსიის მახლობლად კარგი გემოს ყურძენი მოდის და მოსავალიც კარგი იცის. ზემოდ დასახელებულ ადგილზედ ერთი დესეტინა ვენახის გაკეთება დაჯდება 1,440 მანეთიდგან 2,400 მანეთამდე. მუშა დღეში ერთი მანეთი ღირს. სამინისტრომ ცალკე წესი გამოსცა იმისი, თუ მსურველს როგორ შეუძლიან იჯარით აიღოს, ან შეისყიდოს იქ მიწა ვენახისა და ბაღის გასაშენებლად.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგი ს. ი. ბოგოროდსკი დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი დ. მ. ლიტოვჩენკო — ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგად და ბაქოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნ. ტ. ჟილა — სტავროპოლის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედვე. („ტფ. ფურც.“)

⁂ დუშეთი, 4 მარტი. აქაურის ფოსტიდგან ფულის მომპარავი ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა მაშინვე სასტიკი ღონის-ძიება იყო ხმარებული. ამ საქმის გამო მეორე დღესვე ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კოჟინი მოვიდა და მეორე დღეს ბრალმდებლის ამხანაგი, რომლის ზედამხედველობითაც სწარმოებს გამოძიება. საქმის გარემოება ასე ყოფილა:როცა საღამოზედ 20 მარტს,ასე, 7 საათზედ, რუსეთის ფოსტა დაუმზადებია და მასთან ერთად კავკავის გზის სადგურებზედ მოსამსახურე მოხელეების ჯამაგირი დაუბექდია, კანტორის უფროსი ბ-ნი მცხვეთაძე, რომლის სადგურიც იმავე სახლის ზევითა სართულშია, სადაც ფოსტის კანტორაა მოთავსებული, შინ წასულა, ხოლო კანტორაში დარჩენილან მისი თანაშემწე ბ-ნი ლიტაროვიჩი, მორიგი მოხელე კეზელი, ფოსტალიონი ოქროპირიძე და მოსამსახურე. კეზელი და ოქროპირიძე, როგორც თითონ ამბობენ, მალე გარეთ გამოსულან, ხოლო ბ-ნს ლიტაროვიჩს გასაგზავნად გამზადებული საფოსტო პარკები უნდა დავთარში ჩაეწერა. ეს პარკები თურმე იმისავე ზურგს უკან სასწორზედ იყო დალაგებული და როცა ჩასწერა და პარკებზედ დაწერილი წონა და ნომერიც უნდა აღენიშნა, მიიხედა ამისთვის და ერთი პარკი, რომელშიაც ფული იყო, შეკრული აღარ დახვდა.

21 მარტს სოფ. კობიაანთ კარის ეკკლესია გაჰქურდეს და მოიპარეს ათი თუმნის ღირებული ნივთები და ცხრა მანეთი ფული. ამას წინადვე გაჰქურდეს სოფ. ნატახტარის ეკკლესია და ვერც ერთი დამნაშავე ამ საქმეში ჯერაც ვერ უპოვიათ. საქონლისა და სხვა წვრილმან ქურდობას ხომ ისე შევაჩვიეთ თვალ-ყური, რომ ეს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ისე კომლი არ არის ჩვენში, რომ წელიწადში, თუ ორჯელ არა, ერთხელ მაინც არაფერი მოეპაროთ იმისაგან ქურდებს, ან საქონელი, ან სხვა რამე.

⁂ ქარელი. 25 მარტს, ღამის 11 ს. 50 მ., ქარელსა და სკრას შუა ტფილისიდგან მომავალ სახალხო მატარებლის ვაგონის ფანჯრიდგან გადმოხტა ალექსანდრა სუხოპლუევისა და საშინლად დაშავდა. სუხოპლუევისა ხაშურის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ შორაპანი. 21 მარტს ხიდზედ მუშაობის დროს გზის ხელოსანს ჩაფიძეს ჩამოვარდნილი ხე მოხვდა და თავი და გული დაუშავა.

⁂ „მშაკს“ სწერენ მოსკოვიდგან, რომ აქაურმა მდიდარმა ვაჭარმა ა. პოღოსიანმა შესწირა ტფილისის სომეხთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობას 10 ათასი მანეთიო.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სწერს, რომ ზაქათალის ოლქის უფროსის თანაშემწეს, კაპიტანს ლოვენს ბათუმის პოლიცმეისტრად ჰნიშნავენო.

⁂ აღდგომის მოახლოვების გამო, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სავაჭრო პოლიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ბაზრებში ვაჭრების მიერ სხვა-დასხვა სურსათისა და სანოვაგის გასყიდვას. ამ აზრით ქალაქის ხარჯის მკრეფავთ დაევალათ, რომ ყურადღება მიაქციონ, მოვაჭრეებმა სოფლელებისაგან სანოვაგე ქალაქს გარეთ არ იყიდონ ხოლმე.

⁂ 24 მარტს, დღის 12 საათზედ, მე-9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა კნ. ანნა მუხრანსკისამ, რომ 23 მარტს დაუკეტავ კამოდიდგან ვიღამაც 100 მან. მომპარაო. კნ. მუხრანსკისამ ეჭვი განაცხადა განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის მცხოვრებელს ეფრემ ხოსროევზედ, რომელიც პოლიციამ დაპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 24 მარტს ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზში არ მოხდა არჩევანი 1 ნაწილის მცხოვრებელ მოქალაქეთა 10 დეპუტატისა ამრჩეველთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. მე-2 ნაწილის მცხოვრებელთა დეპუტატის არჩევანი დანიშნულია 26 მარტისთვის სათავად-აზნაურო თეატრის დარბაზშივე.

⁂ 24 მარტს ღამე წყნეთის ქუჩაზედ ჩხუბი მოუვიდათ ტფილისის მცხოვრებელთ ვასო მარაგიშვილს, გიგო ჰამზოვს, არტემ არჩუაძესა და ივანე თათიაურს სიმთვრალის დროს. ჩხუბში ვასო მარაგიშვილმა ოთხს ადგილას დასჭრა ივანე თათიაური, თათიაური მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში იქმნა გაგზავნილი, ხოლო დამნაშავე პოლიციამ დაპატიმრა.

⁂ 25 მარტს, ნაშუადღევს 2 საათზედ, შორაპნის მაზრის დ. ყვირილის მცხოვრებელმა ნოე მგიბრაძემ, როდესაც მადათოვის კუნძულზედ ახლად გაკეთებულ კარუსელზედ იჯდა, რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა ჰაერში. პოლიციამ მგიბრაძე სამართალში მისცა.

◆

დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება

22 მარტს დუშეთში მოხდა მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ამავე მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ბ-ნის გ. ა. ყარანგოზიშვილის თავ-მჯდომარეობით, ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის განსახილველად.

ბ-ნმა მაზრის წინამძღოლმა კრებას მოახსენა, რომ ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ განზრახვა აქვთ შუამდგომლობა აღძრან და ამ საგანზედ უნდა მოხდეს გუბერნიის კეთილშობილთა საგანგებო კრება, ხოლო ვიდრე ეს კრება შესდგებოდეს, მაზრის წინამძღოლებსა გვაქვს დავალებული მოვახდინოთ მაზრის კეთილშობილთა კრება, რომ ამ საქმის შესახებ იმათაც თავისი აზრი წარმოსთქვან და აი, ამიტომ ხართ დღეს მოწვეულნიო.

შემდეგ ბ-ნმა წინამძღოლმა კრებას განუმარტა, რა გვარი დაწესებულებაცაა ერობა, რითია იგი სასარგებლო საზოგადოდ ქვეყნისათვის და ან კერძოდ თავად-აზნაურთა წოდებისათვის და დასძინა: რუსეთში ერობა დიდი ხანია შემოიღეს, იმას იქ ბევრი მომხრეცა ჰყავს და ბევრი მოწინაამდეგეც, ხოლო იმ გუბერნიის ყველა წოდებათა წარმომადგენელნი, სადაც ერობაა შემოღებული, ერთხმად აღიარებენ ამ დაწესებულების უეჭველს სარგებლობას. ერობისაგან მოსალოდნელი სიკეთე იმდენად აშკარაა და თვალსაჩინო, რომ ჩვენში თითქმის არც-კი ჰყავს მოწინააღმდეგენი. მარტო ის გარემოება რომ ავიღოთ და გავითვალისწინოთ, რომ ერობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩვენი გუბერნია ნახევარ მილიონზედ მეტს იხდის და თუ ერობა შემოიღეს, მაშინ იგი მთლად ამ ფულს მკვიდრთა აუცილებელს საჭიროებას მოახმარებს , — ცხადზედ უცხადესი იქნება, რომ ჩვენში ერობის შემოღება არამც თუ სასარგებლოა, ძალიან საჭიროცაა.

შემდეგ ზოგიერთები შეეკითხნენ ბ-ნის წინამძღოლს, რა აზრისაა ამ საგნის შესახებ სხვა მაზრის თავად-აზნაურობაო.

წინამძღოლი. ჯერ-ჯერობით მარტო ბორჩალოს თავად-აზნაურობამ მოახდინა ამ საგნის შესახებ საგანგებო კრება, რომელმაც ერობის შემოღება საჭიროდა სცნო და ერთ-ხმად დაადგინა, აღძრულ იქმნას ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა. ესევე დაადგინა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც.

გ. ო. ზანდუკელი. ერობის შემოღებისათვის ჩვენ, ჩემის ფიქრით,მზად არა ვართ, ამ დაწესებულების ჩვენში შემოღება უდროო იქნება. ჩვენ ჯერ ისიც არ ვიცით, ვის რა გვეკუთვნის, აბა რაზედ და როგორ უნდა გავიწეროთ და გადავიხადოთ საერობო ხარჯი. არც გამიჯვნის საქმე დასრულებულა და არც ხიზნების საქმე. ვიდრე ეს ორი საქმე არ გათავდება, ტყუილად ვეცდებით ერობის შემოღებას. ამას გარდა, ერობის შესანახი და ყველა მისი გასაძლოლი ხარჯი ხომ ჩვენ უნდა ვიკისროთ და ისეც გაჭირვებული საქმე უფრო უნდა გავიჭიროთ ამ გადასახადით.

წინამძღოლი. როგორც სხვა წოდებანი, ისე თავად-აზნაურობა ამ გარდასახადს ეხლაც იხდის. არ მესმის, რაღად უნდა დაგვიმძიმოს ტვირთი საერობო გარდასახადმა, რომელსაც ეხლაც ვიხდით, მაშინ, როცა ნება მოგვეცემა, რომ ეს გარდასახადი

იქუხა; ცოტა ხნის შემდეგ ქუხილი ისევ განმეორდა, თან თოვლი მოდიოდა და ქარი ღრიალებდა. თუმცა სრულიად გავიწყვიტე იმედი, რომ ვერც მწვერვალის გეგმას ავიღებდი და ვერც სხვა გამოკვლევას მოვახდენდი, მაგრამ მაინც არ მეთმობოდა აქედგან ძირს ჩასვლა. ერთხანს თოვლი და ნისლი იქამდის შეიკვროდა ხოლმე, რომ ჩემ ქვევით ვერა ვხედავდი დედამიწას და ასე მეგონა თითქოს მაღლა ღრუბლებში დავცურავ-მეთქი. ალბაის ყვირილმა მაიძულა თავი დამენებებინა მწვერვალისათვის. როდესაც ჩამოვედი იმასთან, იგი იჯდა ქარის მხრივ ზურგ-შექცეული, სრულიად თოვლით შეჭირხლული და მარმარილოს ქანდაკებას მოგაგონებდათ. ჩემი ძირს ჩამოსვლა ალბაის ძლიერ ესიამოვნა; ის მაშინვე ჩქარის ნაბიჯით ძირისაკენ წავიდა. თან წამოვიღეთ გზაზე ჩვენ მიერ დარჩენილი ჩემი ქურქი. კლდეები, ტინები და ღორღები ძლიერ გვიძნელებდა სიარულს. ერთს ადგილას დაშვებული კლდე დაგვიხვდა , რომ იმ კლდეს ავცდენილიყავით, ძირს ჩასულები, ისევ მაღლა ავედით. კლდეების ასაცდენათ, სამხრეთისაკენ წავედით, სადაც მუხლებამდი ახალ თოვლში ვცვიოდით. თოვლიანზე რომ მივდიოდით, თან ქვების წრეს ვუყურებდით, რომელიც ჩვენთვის ერთად-ერთი მაჩვენებელი იყო გზისა. აი ქვიანის ბოლოც გათავდა. აქედგან თოვლიან უდაბნოზედ უნდა წავსულიყავით და ბოლოს ქვების კუნძულზედ მივსულიყავით, რომელიც შემდეგში გვიჩვენებდა გზას. ამ ქვებამდის ჩემის მოსაზრებით, ჩვენ მოგვინდებოდა 20 წუთი სიარული; მაგრამ გავიდა 20 წუთი და ქვები არსად იყო. დავიწყეთ ყვირილი, მაგრამ პასუხი არსაიდგან მოგვესმა; დამბაჩა გავისროლე და მისი ხმა ქარისაგან იქვე შთაინთქა. ქარიშხალი და „კორიანტელი“ იქამდის გაძლიერდა, რომ ორის ნაბიჯის იქით არა სჩანდა-რა. ჩვენ გვეგონა, რომ მარცხნივ ვიყავით წასული და ამიტომ ისევ მარჯვნივ გაუხვიეთ; დრო და დრო ვხმაურობდით, მაგრამ ჩვენი ყვირილი ჭეშმარიტად იყო ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. დიდხანს ვიარეთ, მაგრამ ქვები კიდევ არსადა სჩანდა. ისევ მარცხნივ წავედით და წავაწყდით დიდ ყინულიან დაქვეითებულს, რომელზედაც წრიაპებით ძლივს ვიმაგრებდით ფეხებს. რამდენჯერმე კიდევ გამოვიცვალეთ მიმართულება და ბოლოს მივადექით ყინულიან ხრამებს (ნაპობებს) და ეს გვიჩვენებდა, რომ დაშორებულები ვიყავით ნამდვილს მიმართულებას (გზას).

საკითხი ის იყო, რომელ საყინულეს სათავეში ვიმყოფებოდით, აზაუს, თუ ტერსკოლისაში? თუ ქარის მიმართულებას სახეში ვიქონიებდით, ჩვენ ვიყავით ტერსკოლის სათავეში. თუმცა რამდენჯერმე გამოვიცვალეთ მიმართულება, ხან მარჯვნივ მოვდიოდით, ხან მარცხნივ, მაგრამ უძირო ხრამები ყველგან გვხდებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, ბინდმაც მალე გვისწრო. ბოლოს მივედით ამაღლებულ ბეგთან, რომელზედაც იმ იმედით ავედით, რომ იქ ვიპოვიდით ქვებს და იმათ ძირში ცოტა ხანს მაინც ამოვეფარებოდით ქარიშხალს და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ღამესაც გავატარებდით. აგერ ავედით მაღლა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იქ ქვების მაგივრად დაგვიხვდა გაყინული თოვლი. იმედ-გაცრუებულები ჩამოვედით იქიდგან და ძირს დავეშვით... დიდხანს ვიარეთ ახლად მოსულს თოვლზედ და მერე ისევ ყინული დაგვიხვდა. საუბედუროდ, ერთის ფეხიდგან „წრიაპი“ დამეკარგა და როდესაც ყინულზე მიხდებოდა ჩასვლა, ძლიერ მიძნელდებოდა. დიდმა ქარიშხალმა სრულიად ამოგვხუთა სულები... განსაკუთრებით მაშინ უფრო ვიტანჯებოდით, როდესაც ქარის პირდაპირ მივდიოდით. ქარიშხლისაგან თავპირზედ თოვლი გვეყრებოდა და ჩემს ულვაშებზედ ისეთი დიდი ყინულის ჩანჩხურები გამიკეთდა, რომ სიარულის დროს ძლიერა მტკენდა და იძულებული ვიყავი პირი-სახე ყაბალახით შემეხვია. ერთის სიტყვით, ჩვენ სრულიად თოვლით ვიყავით გადაფისულები. მზად ვიყავი ხრამში სადმე ჩავსულიყავი და ღამე იქ გამეტარებინა, მაგრამ ვსინჯავდი ძ ყველა უძიროები აღმოჩნდა. ერთს ადგილას ახლად მოსული მაღალი თოვლი დაგვხვდა და მე ალბაის ვუთხარი: მაინც გზას ვერ ვპოულობთ, ღამის გასათევად ახალ თოვლში წავძვრეთ-მეთქი. ალბაიმ ხელები გაიქნია და დაიყვირა: „არ შეიძლება, დავიღუპებითო!“ და სწრაფად წინ წავიდა. ჩვენმა მხნეობამ თან-და-თან იკლო, ხშირ-ხშირად ვდგებოდით ჯოხებზედ დაბჯენილები და ქარისაკენ ზურგებ-მიქცეულები. მომაგონდა, რომ გუშინდელს აქეთ პური არ გვეჭამა და არცა ვგრძნობდით შიმშილს, მხოლოდ წყლის წყურვილი გვაწუხებდა. ჩვენის მოუფიქრებლობისა გამო ჩვენი საგზალი გაჰყვა მებარგულე ზალიხანოვს, თანა გვქონდა მარტო ჩაის სუხრები. ავიღეთ თითო სუხარი და ღეჭვა დავუწყეთ, მაგრამ პირი და ენა ისეთი გამშრალები გვქონდა, — რომ დაღეჭილი სუხარი ვერ ჩავყლაპე და იძულებული ვიყავი თითით გამესუფთავებინა პირი, რადგანაც გამოფურთხვაც ვერ მოვახერხე. ესევე დაემართა ალბაისაც და ორივემ თავი გავანებეთ სუხრის ჭამას.

ჩვენვე ჩვენს საზოგადო საჭიროებას მოვახმაროთ. სახელმწიფო საბჭოში ეხლაც შეტანილია პროექტი, რომლითაც სურთ, რომ ეს გარდასახადი 7 კაპ. აიყვანონ. ხომ შეიძლება ეს პროექტი განხორციელდეს და დაკანონდეს, ჩვენ იმითი რაღა შეგვემატება, რომ ვიხადოთ-კი ეს გარდასახადი, ხოლო იმისს მოხმარების საქმეში-კი არავითარი უფლება და მონაწილეობა არა გვქონდეს.

გ. ო. ზანდუკელი. როცა მთავრობას საერობო ფული არა ჰყოფნის, იგი ხაზინის სხვა ფულსა ჰხარჯავს, ჩვენ-კი, თუ საერობო შემოსავალი ხარჯს ვერ დაგვიფარავს, მეტი გზა აღარ გვექნება, ისევ გარდასახადის მომატებას უნდა მივმართოთ; მთავრობა იმას ხომ არ გვეტყვის, რომ საერობო ფული არა გყოფნით და ამისთვის ერთხელ ნაკისრს მოვალეობას ნუ ასრულებთო...

ექ. გაბაშვილი. თუ-კი რითიმე შეიძლება ჩვენის გაჭირვებულის მდგომარეობის შემსუბუქება და ხვედრის გაადვილება, ეს მარტო ერობის შემოღებით შეიძლება.

თ. ნ. გ. ჭავჭავაძე. ყოველს საზოგადო საქმეს თავისი მომხრე და მოწინაამდეგე ჰყავს, ხოლო აქ ჩვენი საქმე ისაა, რომ გავითვალისწინოთ და დავაკვირდეთ ან ერობის მომხრენი და ან მოწინაამდეგენი თავიანთ აზრს რით ასაბუთებენ. ეს დაკვირვება-კი აშკარად გვიჩვენებს, რომ ერობისაგან მოსალოდნელი სიკეთე და სარგებლობა ეჭვს გარეშეა. უცხო და გარეშე კაცი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ისე ვერ შეიგნებს ჩვენს საჭიროებას, როგორც ჩვენ თითონ ტ ვერც მოეკიდება ჩვენსავით გულ-მხურვალედ ჩვენის საჭიროების საქმეს. თუ მთავრობა ჩვენის საჭიროების წამლის დასადებად ერობას მოგვანიჭებს, ესჩვენთვის დიდი წყალობა იქნება.

ზ. ს. გედევანიშვილი. მე გადავიკითხე და გავიცანი შეძლებისადა გვარად ის წიგნაკები ერობის შესახებ, რომლებიც ჩვენ დაგვირიგდა, და დავრწმუნდი, რომ თუ აქამდე უპატრონოდ ვიყავით, ერობის შემოღების შემდეგ ამ ყოფაში აღარ ვიქნებით და ყოველს ჩვენს საზოგადო საჭიროებას ეყოლება ჩვენგანვე მიჩენილი მზრუნველი და გულ-შემატკივარი დაწესებულება. ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია, რომ თავად-აზნაურობამ ეს შუამდგომელობა დაუყოვნებლივ აღძრას.

შემდეგ ზოგიერთები შეეკითხნენ ბ-ნს წინამძღოლს, საკმარისად-კი არის დაცული და წინ-დახედული თავად-აზნაურთა უპირატესობა საერობო წესდებაშიო. შეიძლება აქაც ისეთივე საქმე დაგვემართოს, როგორც დაემართათ ტფილისში, სადაც თვით-მმართველობის საქმე ჩვენში მოსეულმა პლუტოკრატიამ იგდო ხელთ და სათამაშო ბურთად გაიხადა, ხოლო სხვები-კი ან გააძევეს და ან იძულებულ ჰყვეს გასცლოდნენო. ამის პასუხად ბ-ნმა წინამძღოლმა აუხსნა კრებას, რომ თავად-აზნაურობას საკმარისი უფლება-უპირატესობა აქვს მიცემული და ამ მხრივ მას არავისაგან დაჩაგვრის შიში არ მოელისო; თავად-აზნაურობას საერობო დაწესებულებაში 57°/₀ ეკუთვნის ხმოსნებისა, ხოლო დანარჩენი რიცხვი გლეხთა და ვაჭართა წოდებისანი უნდა იყვნენო.

(დასასრული იქნება)

თეატრის მატიანე

„ურიელ აკოსტა", ტრაგედია 5 მოქმედებად გუცკოვისა, თარგმანი ი. ბაქრაძისა.

ოთხშაბათს, 25 მარტს, ქართულმა დასმა წარმოადგინა „ურიელ აკოსტა". ეს ტრაგედია ბევრჯელ წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზედ და საზოგადოება საკმარისად იცნობს თვით პიესას. ამიტომ ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას არტისტების შესახებ.

მანასეს როლს, ივდითის მამისას, თამაშობდა ბ-ნი გედევანოვი. ამ მსახიობმა დიდი ხანია თვალსაჩინო და საპატიო ადგილი დაიჭირა ქართველ არტისტთა შორის. მისი ღირსება არის — დარბაისელი და სერიოზი მოპყრობა ყოველის როლისა, რომელსაც-კი მისცემენ ხოლმე. ბევრი, ძალიან ბევრი სხვა-და-სხვა როლი მიუციათ იმისთვის. გედევანოვი გვინახავს ჩვენ კომიკურ როლებშიაც, დრამატიულშიაც, ახალგაზდისაში, მოხუცისაში... და არ გვახსოვს, რომ როდისმე მოეცა შემთხვევა გვეთქვა, როლი გააფუჭაო. ეს იმიტომ ხდება, რომ ბ-ნი გედევანოვი გონება-განვითარებული და დარბაისელი კაცია. იცის, რომ შრომითა და ბეჯითობით, როლის დაკვირვებითა და მისის ხასიათის შეგნებით ბევრი რამ გაკეთდება სცენაზედ. არა აქვს, რასაკვირველია, ბუნებით ბოძებული ნიჭი, როგორც აბაშიძეს, ან მესხიშვილს, მაგრამ ძვირფასი ისკი არ არის, რაც ადამიანს უშრომლად და გაურჯელად უფლისაგან მიუღია, არამედ ის, რაც თვისის შრომითა და ბეჯითობით შეუძენია. ამ მხრივ ბ-ნის გედევანოვის მსახიობა ჩინებული სკოლაა ჩვენის ახალგაზდა არტისტებისთვის: უყურონ, ისწავლონ მისგან შრომის მოყვარეობა და დარბაისელი მოპყრობა საქმისა. დიახ, გედევანოვი ისეთივე მშვენებაა და სიამაყე ქართულის სცენისა, როგორც ვასილ აბაშიძე, საფაროვის ქალი, მესხი, მესხიშვილი. ამათ თუ ეს ადგილი დაიპყრეს მომადლებულის ნიჭის წყალობით, პირველმა მხოლოდ და მარტო თავისის განათლებულის შრომითა და ბეჯითობით. კიდევ ვიტყვით, ჩვენ ახალგაზდა არტისტებს არგებთ, რომ კარგად ჩაუკვირდნენ ბ-ნ გედევანოვის თამაშს, მიჰბაძონ ყველაფერში, ისწავლონ მისი სკოლა. ეს შრომა ნაყოფს მოუტანთ: თვით გედევანოვია ამისი საბუთი.

ივდითი — ქ-ნი ავალიშვილისა. ეს ნიჭიერი არტისტი-ქალი ეხლა იმ მდგომარეობაშია, რომ შეჰფერის სთქვას:

„ოჰ, დრონი, დრონი,
ნაქებნი მარად,
წარვიდნენ, გაჰქრენ
სიზმარებრ ჩქარად!"

დროსა და ჟამს წინ ვერა დაუდგება-რა. დრომ დათრგუნა ნიჭი ქ-ნ საფაროვისა. დრომ ჩამოაყენა მოღვაწეობიდგან ბისმარკი, გლადსტონი... და რადა ჰგონია პატივცემულ ქ-ნ ავალიშვილისას, რომ ის-კი, მხოლოდ ის არ ემორჩილება დროსა და ჟამის ზეგავლენას. ქ-ნ ავალიშვილისამ თავისის ყოფილის არტისტიულის მოღვაწეობით ბევრი კარგი სახსოვარი ჩასწერა ქართულ თეატრის ისტორიაში. მხოლოდ აწინდელის თვისის მოღვაწეობით, გვეშინიან, ამოშლის, ამოჰფხეკს იმ სახსოვართა. ივდითის როლს იქნება ნაკლების დრამატიზმით, ხოლო ბევრად მოხდენილად შეასრულებდა, მაგალითებრ, ქ. კარგარელი — ეს ახალგაზდა ქალი, რომელიც ნიჭს მოკლებული არ არის. ამიტომ ჩვენის თეატრის ინტერესი მოითხოვს არ იქმნას ხოლმე დაჩრდილული ახალგაზდა არტისტი ძველებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ძველებს წარსულში სამსახური მიუძღვით. ნამსახურობას დაფასება, რასაკვირველია, უნდა, გარნა სხვანაირად. დაბეჯითებით ვარწმუნებთ ყველას, რომ ჩვენ ამას გვათქმევინებს მხოლოდ და მარტო სიყვარული ქართულის სცენისა.

ბენ-იოხაი — ბ-ნი ჯაფარიძე. ამ მსახიობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი ადგილი სცენა არ არის. ამას ყველა ჰხედავს. ვერა ჰხედავს მხოლოდ თვით ბ-ნი ჯაფარიძე და, რაც ძალიან საკვირველია, ვერა ჰხედავს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილიც — რეჟისორი. ჩვენ გვჯერა, რომ ბ-ნ ჯაფარიძეს ძალიან უყვარს თეატრი. ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ბევრი-რამ როდია საჭირო: ბილეთის ყიდვა და პარტერში დაბრძანება. ხოლო თვით სცენა — საკურთხეველი უნდა იყოს ხელოვნებისა, სადაც შესვლა შეეძლოთ მარტოოდენ „განწმენდილთ".

ურიელ აკოსტა — ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. ეს არტისტი, ჩვენის ფიქრით, ეხლა ბევრად კარგად თამაშობს, ვიდრე წინად. ეხლა ავიდა ის ხელოვნების იმ მწვერვალამდე, სადამდისაც-კი ასვლა მისს ნიჭიერებას შეეძლო. სამწუხაროდ ხმა... მაგრამ ეს ხომ ყველამ იცის და რაც ყველამ იცის, იმის შესახებ ლაპარაკიც მეტია.

ჩვენა გვგონია, რომ პირველ ხარისხოვანმა ჩვენმა არტისტებმა უნდა იფიქრონ თავიანთ მემკვიდრეებისათვის. ის არტისტი გაუწევს სამშობლო სცენას დაუვიწყარს სამსახურს, რომელიც მოუმზადებს მემკვიდრესაც. ამ მხრივ, ვგონებთ, პატივცემული არტისტი არა სცდილობს, როგორადაც არა სცდილობენ სხვებიც. შესაძლებელი-კი არის, რომ აეყვანათ ნიჭიერი ახალგაზდანი და ნელ-ნელა მოემზადებინათ თავიანთის როლებისათვის.

მოწაფის წარმატება განადიდებდა ოსტატის სახელსაც; ყველას ეცოდინებოდა, რომ ახალგაზდა არტისტი ნაპოვნი და აღზრდილია ძველის დამსახურებულის არტისტის მიერ.

რუბენ — ბ-ნი კარბელი. არც ერთი რეჟისორი, რომელიც პატივსა სცემს თავისს თავს, ამ როლში ბ-ნ კარბელს არ ათამაშებდა. კარბელის საქმე ლაქიებისა და მსახურების როლია.

იოველ — ქ-ნი კუნდელი. არა უჭირდა-რა, ეს ითქმის დღეს, გუშინ და ვგონებთ მერმისაც.

დე-სანტოს — ბ-ნი კანდელაკი. ესეც დიდად ბეჯითი და სინდისიერი არტისტია. ბევრი რამ იმისა, რაც მოგახსენეთ გედევანოვის შესახებ ითქმის ამ მშრომელ არტისტის შესახებაც.

განგებ სულ ბოლოში მოვაქციეთ პატივცემული არტისტი, რომელმაც შეასრულა დე-სილვას როლი. არტისტი დადიანი ჩვენ ორჯელ ვნახეთ მხოლოდ სცენაზედ და ისე მოგვხიბლა თავისის დარბაისელისა და ჰკვიანურის თამაშით, რომ გვეშინიან გარდას — გადამეტებული ქება-დიდება არ შევასხათ.

მკაფიო და სასიამოვნო მისი ქართული, დარბაისელი და მიმზიდველი თავის დაჭერა სცენაზედ, მოხერხებული და ყოველთვის ზომიერი მიხვერა-მოხვრა, ყოველივე ეს ჰხიბლავს მაყურებელს. ეს ისეთი არტისტია, რომლის შესახებაც სავსებით ითქმის: ის ემსახურება „დიდის ღმერთის საკურთხეველს"!

მე გახლავარ

უცხოეთი

—

კრიტი. გაზ. „Hord"-ი, რომელიც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ გაზეთად ითვლება, სწერს: „კრიტის სა-

---

ცოტა შესვენების შემდეგ განვაგრძეთ გზა, ქარიშხალმა ძლიერ იმატა და ხრამებსაც რომ ველარ გავცდით, გადავწყვიტეთ თოვლი ამოგვეთხარა და შიგ ჩავწოლილიყავით. ალბაი ოხრავდა და იმეორებდა თავის სიტყვებს: დავიღუპენით", „დავიღუპენითო". მართალი უნდა სთქვას კაცმა, მეც იმედი აღარა მქონდა, თუ ცოცხლები გადავრჩებოდით. ამოვთხარეთ თოვლი, გარშემო თოვლის კედელი გავაკეთეთ, პალტო გავიხადე, ჩავიცვი ქურქი რომელსაც აქამდის ყურადღებას არ ვაქცევდი და როცა ამოთხრილში ჩავწექით ზურგი ზურგს მიბჯენილები, პალტო თავზედ გადავიფარეთ. ალბაიმ ერთი ნაღვლიანად ამოიხრა და კიდევ გაიმეორა: „ჩვენ ხო დავიღუპენითო". მალე ღრმად დამეძინა; უეჭველია დიდხანს მეძინებოდა, რადგანაც როდესაც გამომეღვიძა, დაღლილობას აღარა ვგრძნობდი. გამომეღვიძა იმიტომ, რომ პალტო ქარს გაეტანა და პირი-სახეზე თოვლს მაყრიდა. ქარი ისევ ისე ჰქროდა და ჩვენი ორმო ჩვენს ზევით თოვლით ავსილიყო. მოვიცალე თოვლი, ისევ, დავიხურე პალტო და მერე ყური დავუგდე, ალბაი ხომ არ გაიყინა-მეთქი, მაგრამ დამშვიდებით სუნთქამდა. რაკი დავრწმუნდი, რომ ის ისევ ცოცხალი იყო, მივეცი თავი ძილსა და ისევ ღრმად დამეძინა; როდესაც გამომეღვიძა, ქარიშხალი ისევ იყო და ყინვას უფრო მოჰმატებოდა. ალბაიმაც გამოიღვიძა და განიმეორა თავისი სიტყვები: „დავიღუპებით, დავიღუპებით!" რამდენისამე წუთის შემდეგ ისევ დამეძინა. როდესაც კიდევ გამომეღვიძა, ქარის ზუზუნი აღარ ისმოდა და ეხლა იმის ფიქრში ვიყავი, ნეტავი გათენდა თუ არა-მეთქი? თოვლი ისევ მოდის თუ არა? თუ თოვლი აღარ მოდის და გათენებულია, გადარჩენილები ვართ. პირისახიდგან პალტო გადავწიე; თუმცა თოვლი დამდებოდა ზედ, მაგრამ როგორც იყო ჩემს თავს ზევით ხელით ავამტვრიე თოვლი და დავინახე, რომ გათენებულიყო.

დილა იყო მეტად სუსხიანი, ის იყო მზე ამოსულიყო და ზევიდგან ლურჯი ცა დაგვყურებდა. ჩვენ ვიმყოფებოდით თოვლიანს მინდორზე. ალბაის წინად გამოჰღვიძებოდა და როდესაც გაიგო ჩემი გაღვიძება, მითხრა: „წავიდეთ, წავიდეთო". ამოვძვერით თოვლიდგან, მივიხედ-მოვიხედეთ და დავინახეთ, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით გარბაშის საყინულეში, სულ ნახევარის ვერსის მანძილით ვიყავით დაშორებულები ნამდვილ გზიდგან. ღამე ჩვენ გაგვეტარებინა ერთ უდიდესს ამოღრმავებულის ნაპირთან; თუმცა წინაღამეს შევამჩნიეთ იგი, მაგრამ პატარა გვეგონა, ეხლა-კი ვხედავდი, რომ სიგანე ჰქონდა სამი საჟენი და სიგრძე 150 საჟნამდის და ისეთი ღრმა, რომ ძირი ვერ დავუნახე, თუმცა ხან ერთის მხრიდგან მოვუარე და ხან მეორედგან. გარშემო იმდენი ამოღრმავებულები იყო, რომ ძლივს დავახწიეთ თავი. საკვირველია, ღამე როგორ გადავრჩით ისე, რომ უფსკრულში არ ჩავცვივდით. გამოვედით კლდიანზედ კარგა იმას ქვეით, სადაც პირველად ღამე გავატარეთ. თითონ ჩვენი ნაბინავარი-კი არა სჩანდა, რადგანაც ჩვენ შუა ერთი მაღალი ბექი იფარავდა. ვიფიქრეთ, იქნება ბინაზედ იყოს ვინმეო, და რომ ნამდვილად გაგვეგო, ბექზედ ავედით და იქიდგან დავიწყეთ ყვირილი. ჩქარა გამოჩნდა ქვეით მომავალი ჩვენი მებარგულე ჰაჯი ზალიხანოვი. დავუცადეთ იმას და როდესაც ჩვენთან მოვიდა, სამივენი ძირს დავეშვით. ჩვენს იღბალზედ წყარო შეგვხვდა და დიდის სიამოვნებით მოვიკალით ორი დღე-ღამის წყურვილი. ჩვენ წინ შემოგვეყარნენ ჩვენსკენ მომავალი მუშები და პატარა ძირს რო ჩავედით, ტინებთან ვიპოვნეთ ბ-ნი ვარაბიოვიც და აქ გამოირკვა შემდეგი: ქარი რო ამდგარიყო, ორს ჩვენს მებარგულეს აეღოთ ყველა ჩვენი ნივთები და ქვეით ჩამოსულიყვნენ; ვარაბიოვიც იმათ კვალს გაჰყოლოდა; როცა ტინებთან მოსულიყვნენ, სადაც ეხლა ვარაბიოვი დაგვხვდა, გადაეწყვიტათ აქ მოეცადნათ ჩვენთვის, მაგრამ როდესაც ქარიშხალი გაძლიერებულიყო, თავი დაენებებინათ ვარაბიოვისათვის და თითონ ძირს ცხენებთან ჩასულიყვნენ. მებარგულე ჰაჯი ზალიხანოვს ცდა დაეწყო იმ ადგილას, სადაც მეორე ღამე გავატარეთ, მაგრამ როცა ქარი ავარდნილიყო, გაეშურებინა პირველ ღამის ნაბინავრისაკენ და რომ იქაც ვერავინ ენახა, ისევ ქვეით წასულიყო ტ როდესაც ტინებთან ვარაბიოვს შეხვედროდა, ღამე მასთან გაეტარებინა. ბ-ნს ვარაბიოვს დილით ადრე ზალიხანოვი ზევით გამოეგზავნა იმ იმედით, რომ ჩვენა გვნახამდა პირველ ღამის ნაბინავარზე, მაგრამ რაკი იქ არავინ დაუხვდა, ეფიქრა, ქარიშხალი დაახრჩობდაო, ამ ამბით ძირს მიდიოდა და, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამ დროს შევეყარენით.

ჩავედით ძირს, ვირს ავკიდეთ ჩვენი ბარგი, 11 საათზედ დილით მივედით აზაურს საყინულეს ბოლოში და აქ მახლობლად ერთ ქოხში გავატარე დანარჩენი დღე და ღამე. მეორე დღეს იმავე გზით გავემგზავრეთ პიატიგორსკისაკენ.

მღ. ალ. გულისაშვილი

ქმე უკანასკნელად გარდასწყდა: კრიტს თვით-მმართველობა მიენიჭება და გენერალ გუბერნატორად მისი უმაღლესობა საბერძნეთის პრინცი გიორგი დაინიშნება. ამ საქმის გამო ყველა სახელმწიფონი უკვე მორიგდნენ და მხოლოდ ოსმალეთის ჯარისაგან თესალიის განთავისუფლებას უცდიან, რომ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი გარდაწყვეტილება".

— იმავე გაზეთს სწერენ პეტერბურგიდგან: „ყველა წერილები და დეპეშები, რაც-კი ათინასა, ლარისასა, ვოლასა და კონსტანტინეპოლიდგან მოდის პეტერბურგში, ერთხმად ლაპარაკობენ იმ გაჭირვების შესახებ, რა გაჭირვებაშიაც ამ ჟამად თესალიის მცხოვრებელნი არიან ჩაცვივნული. ეს პროვინცია არამც თუ მთელის საბერძნეთის სიმდიდრეს შეადგენდა, არამედ თავის პურით ევროპის აღმოსავლეთ-სამხრეთ მხარესაც ჰკვებავდა. დღეს-კი შიმშილისაგან აუარებელი ხალხი იხოცება. ამის ბრალი ოსმალეთის ჯარია, რომელმაც სრულიად დასცა და მიწასთან გაასწორა ამ პროვინციის კეთილდღეობა".

—

ჩინეთი და ევროპის სახელმწიფონი. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ევროპა ამ ჟამად გაცილებით მეტ ყურადღებას მიაქცევდა ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას, რომ ჩინეთის საქმე ასე არ გამწვავებულიყო და ყველა ევროპის სახელმწიფო არ იყოს ჩარეული ამ საქმეში. მართლაცა და ევროპა ერთ წუთას არ აშორებს თვალს ყველა იმას, რაც ამ ჟამად ჩინეთში ხდება. განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ მას შემდეგ, რაც ის ამბავი გავრცელდა, რომ ჩინეთმა რუსეთს 25 წლით პორტ-არტური და ტალიენვანი დაუთმოვო. ამ შემთხვევაში ყველაზედ ცუდ გუნებაზედ ინგლისია. არც კი შეიძლება იმის აღწერა, რა აურ-ზაური და აღელვება გამოიწვია ზემოხსენებულმა ამბავი ინგლისში. ყველა გაზეთებმა ერთხმად აღიარეს, რომ რუსეთის წინააღმდეგ რაიმე ღონე უნდა ვიღონოთ და იმის წინსვლელობა შევაფერხოთო. გაზეთი „Times"-ი იუწყება, საჭიროა ჩრდილოეთის ზღვაში დემონსტრაცია მოვახდინოთ, რომ დავანახვოთ რუსეთს რა ღონისა და ძალის პატრონი ვართო. გაზეთის სიტყვით, უკვე შეუდგნენ გონკონგში ამისათვის მზადებას და ღამე და დღე გაცხარებული მუშაობაო. მეორე გაზეთი „Globe" სწერს: „უმჯობესია ცარიელ სიტყვებს თავი გავანებოთ, საქმეს მივყოთ ხელი და მთელ ქვეყანას გამოუცხადოთ, რომ თუ რუსეთმა არ დაიხია, ჩვენ მზათა ვართ ვებრძოლოთო. საჭიროა ეხლავე მოვიქცეთ ასე, ვიდრე სამი წელიწადი ვიცადოთ, როდესაც კარზედ მოგვადგებიან და ჩვენ თითონ გამოგვიცხადებენ ომს. ამ ჟამად ზღვაზედ ჩვენ გაცილებით ძლიერნი ვართ რუსეთზედ, ამიტომ ყოველს ეჭვს გარეშე, რომ გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება. რამდენისამე წლის შემდეგ გვიანღა იქნება, რადგანაც ჩვენი მოწინააღმდეგენი დღითი-დღე საქმეს იკეთებენ და მალე გაგვითანასწორდებიან კიდეც".

საბერძნეთი. კარდიტცმ, რომელმაც საბერძნეთის მეფის გიორგის მოკვლა განიზრახა, განაცხადა, რომ იმ დინამიტით გატენილის ყუმბარით, რომელიც ჩემს სახლში იპოვნეს, მინდოდა მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფი დელიანისი მომეკლაო. აზრადა მქონდა ჯერ მეფე მომეკლა და მერე დელიანის სახლი ამეფეთქებინაო. საქმის გარჩევის დროს არც ერთმა ვექილმა არ იკისრა კარდიტცის დაცვა, ამიტომ სასამართლომ თვით დაუნიშნა ვექილი.

დამაკვირდი

ცუდად შეგნებული სარწმუნოება ციებასა ჰგავს, რომელიც სულ მცირე მიზეზის გამო ცხელებად გარდაიქცევა ხოლმე. ფანატიკოსობას ტვინის სიმხურვალე აქვს თვისებად.

ვოლტერი

* * *

ადამიანს უნდა სწამდეს, რომ მიუწვდომელიც-კი შეიძლება გამოკვლეულ იქმნას; უამისოდ იგი კვლევა-ძიებას სრულიად თავს დაანებებს.

ჰიოტე

* * *

სახმილსა შინა ცვარი ეცვაროს მადლიანსა.

წმ. დავით აღმაშენებელი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

აქამომდე ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წიგნების ბეჭდვა მოიგონა გუტენბერგმაო, ეხლა ქალაქ ბრიუგეს არხივის გამგეს უპოვნია უტყუარი საბუთები იმის დასამტკიცებელი, რომ წიგნის ბეჭდვა მოიგონა ქალაქ ბრიუგის ბოქალაქემ და დაჰბეჭდა პირველი წიგნი 1445 წელს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გუტენბერგს არ აკლებს იმ დიად სახელს, რომელიც აქამდე ჰქონდა, რადგანაც გუტენბერგმა პირველმა მოახერხა დაბეჭდვა დაბადებისა და პირველი სტამბაც იმან გამართა.

* * *

სახელოვან მწერალს ალექსანდრე დიუმაშვილს, რომელიც ამ ორის წლის წინად გარდაიცვალა, დარჩა დაწერილი, ხოლო გაუთავებელი პიესა სახელად „La Koute de Thèbes" („გზა ფიბისაკენ"). დირექტორი პარიჟის თეატრისა ჟიულ კრარესი, ცნობილი მწერალი სარდუ და კიდევ სხვა მწერლები ამტკიცებენ, რომ ეს პიესა დაუთავებელიც ძლიერ კარგია და ყველას ძლიერ მოეწონებაო. პიესის წარმოდგენის ნებართვის აღება საჭიროა დიუმას მემკვიდრეებისაგან და ეს მემკვიდრეები ჯერ-ჯერობით ვერ დაიყოლიეს. ისინი ამტკიცებენ, დიუმამ სთქვა, რომ არ ვიცი, ეს ჩემი ახალი პიესა როგორ დავამთავროო. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დიუმას მემკვიდრეები უარზედა სდგანან და არავის არ აძლევენ ამ პიესის წარმოდგენის ნებას.

რომელი გეოგრაფიული სახელი სჯობია?

გაზ. „ივერიის" მე-№№ 34, 49 და 59-ში მოხსენებულია, რუსული სიტყვა «водопадъ»-ი მიღებულ იყოს ქართულს ენაზედ ასე: „მეჩხერე", „ჩობარუხი", „ჩაჰქუხა" და სხვაო. ჩემის აზრით, უფრო მოხერხებულად უნდა ჩაითვალოს „საჩქეფი", რადგან ამ სიტყვას ჰხმარობენ მთიულეთში. მაგალითად, გუდამაყრის ხეობაში, ხანდოს ხეობაში, ჩობარუხის ხეობაში, ჩოხალთ-ხევში, ფშარის ხეობაში და სხ. ბევრია ისეთი ადგილები, სადაც რამდენისამე საჟენის სიმაღლეებიდგან გადმოჰქუხს მოზრდილი წყლები და ამ ადგილებს უწოდებენ „საჩქეფს".

სიტყვა „საჩქეფი" მით უფრო უნდა იყოს გეოგრაფიულ ტერმინად მიღებული ქართულს ენაზედ, ვიდრე „მეჩხერე", „ჩაჰქუხა" და სხ., რომ ამ სიტყვას ხშირად ჰხმარობენ იქ, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეჰხვდებით მაღალ, რამდენისამე საჟენის სიმაღლე კლდეებიდგან გადმომქუხარე წყლებს.

დ. ყარსელიშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 მარტი

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ამ ჟამად გამოიცემა ახალი მე-197 სერია სახელმწიფო რენტის 4% ქაღალდებისა. სულ გამოცემული იქმნება 10 მილიონ მანეთის ფასისა დარქმეულის კვალობაზედ.

პარიჟი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ საფრანგეთმა ისპანიასა და ამერიკის უთანხმოების საქმეში არავითარ შუამავლობა არ იკისროს. საფრანგეთი განკერძოვებულად დარჩება, რომ შეეძლოს მფარველობა გაუწიოს ისპანიელთ ამერიკაში, თუ ისპანიის ელჩი ვაშინგტონიდგან გაიწვიესო.

25 მარტი.

პარიჟი. შანჰაიდგან მოსულ ამბიდგანა სჩანს, რომ ამ რამდენსამე დღის წინად საფრანგეთს დაუთანხმებია ჩინეთი ყველა თავის მოთხოვნილობაზე.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის მთავრობას ყოველის მხრიდგან შეატყობინეს, მიტროპოლიტის სინეზის გადაყენება საშიში არისო და მთავრობამაც ჯერ-ჯერობით გადასდო ამ სურვილის ასრულება.

ნიუ-იორკი. ვაშინგტონიდგან იუწყებიან: „ვინც-კი იცის შინაარსი გასაგზავნ ეპისტოლესი, ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ომი აუცილებელიაო. ექვს გარეშე ცნობებიდგანა სჩანს, რომ ეპისტოლეში მოხსენებულია იარაღით ხელში ძალდატანება და ისეთი მკაცრი ბრალდება ესპანიისა, რომ სადიპლომატიო კავშირი მოისპობა. კონგრესს რომ მოხსენდება ეს ეპისტოლე, უეჭველია ვუტფორდს ამერიკაში გაიხმობენ. აქაური გაზეთი „Post" ამბობს, რომ ესპანიამ ინგლისის ყველა მოთხოვნილება 24 საათის განმავლობაში უნდა შეასრულოსო.

იოკოჰამა. მწერლობისა და საზოგადოების უმრავლესობა სთხოვს კაბინეტს უფრო მხნე პოლიტიკას აღმოსავლეთ აზიაში საქმეთა ვითარების გამო. ბრიტანიის საქციელმა ვეი-ჰაის-ვეის შესახებ აქ დიდი აღელვება გამოიწვია.

პეტერბურგი. 24 მარტს უწმიდესმა სინოდმა პეტერბურგისა, მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიტებისა, ნოვგოროდისა და ფინლიანდიის მთავარ ეპისკოპოსისა, ტვერის ეპისკოპოსისა და უწ. სინოდის ორის წევრის ეპისკოპოსის თანადასწრებით მიიღო სირია—ქალდეველ სამწყსოს მიერ გამოგზავნილის ეპისკოპოსი მირიონან სეპრუგანსკი და მოისმინა მისი განცხადება, რომ ჩემდამო რწმუნებულს სამწყსოს ჰსურს მართლ-მადიდებელ ეკკლესიას შემოუერთდესო. უწმიდესმა სინოდმაც დაადგინა: შემოუერთოს მართლ-მადიდებლობას ეს სამწყსო. წესი ეპისკოპოსის მირიონანის მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან შემოსაერთებლად გარდახდილ იქმნება 25 მარტს, ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. სამების ტაძარში.

26 მარტი

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩინეთის საქმის შესახებ. ჩამოსთვალა რა ყოველივე, რაც კი დაუთმო ჩინეთმა ინგლისს, ბალფურმა დასძინა, რომ როდესაც ინგლისის ყურამდე მიაღწია ამბავმა—რუსეთი პორტ-არტურის შეძენასო სცდილობსო, მიჰმართა რუსეთს და მისწერა უარი სთქვით ამ პორტის შეძენაზეო და თავისის მხრით აღუთქვა პეჩელიის ყურეში არც ერთს ნავთ-სადგურს არ დავიჭერთო. ამაზედ რუსეთმა უარი სთქვა, რის გამოც ინგლისმა განაცხადა ამიერიდგან ჩვენს თავს თავისუფლებას ვაძლევთ ვიხმაროთ ყოველივე ღონის ძიება ბრიტანიის ინტერესების დასაცველადა. ინგლისმა შეიძინა ვეი-ჰაი-ვეი იმავე პირობებით, როგორც რუსეთმა პორტ-არტური. ვეი-ჰაი-ვეის ისეთი მნიშვნელობა აქვს როგორც პორტ-არტურს. ვეი-ჰაი-ვეის დაჭერით ინგლისმა ხელი შეუშალა იმას, რომ პეჩელიის ყურე ერთს დიდს სახელმწიფოს ჩავარდნოდა ხელში. ინგლისი სცდილობს დაიცვას ჩინეთის განუყოფელობა იმ დრომდე, ვიდრე ეს შესაძლებელი იქმნება. უნდა ისიც ვიფიქროთ, რომ მომავალში შეიძლება მოულოდნელი რამ ცვლილება მოხდეს. თუ ვინიცობაა ხელი შეეხო ჩინეთის განუყოფელობას, შორეულ აღმოსავლეთის საქმეში დიდი ცვლილება მოხდება. თუ ვინიცობაა ეს მოხდა, შეიძლება ისეთი დრო დადგეს, როდესაც თავიანთისავე ინტერესებისათვის დიდმა სახელმწიფოებმა უნდა განაცხადონ, რომ ჩინეთი ერთის სახელმწიფოს ხელში არ უნდა ჩავარდესო. რომ ვინმემ მოინდომოს ისეთის შორეულისა და ჯერ კიდევ საეჭვო შიშის ასაცდენად რაიმე ღონის ძიებას მიჰმართოს, რომელიც ძნელიც იქმნება და ძვირადაც დაუჯდება, ეს უგუნურობა იქმნება. (მოწონების ხმა). მთავრობა სთხოვს ერსა მეტის ნდობით მოექცეს მთავრობას, მით უმეტეს, რომ ერმა იცის რა თანაგრძნობა დაიმსახურა მისმა პოლიტიკამ მთელის ქვეყნის ვაჭრობის წარმომადგენელთა შორის (მოწონების ხმა).

განცხადებანი

კვირას, 29 მარტს, დილის 11 საათზედ, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში გამართულ იქმნება

საერთო კრება

იმ სასწავლებლების „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების" წევრთა, რომლებიც ქალაქის ხარჯით ინახება.

განსახილველი საგნები:

1. 1897 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2, სარევიზიო კომისიის მოხსენება „საზოგადოების" 1897 წლის ანგარიშის შესახებ.

3. არჩევანი სამსახურის წელთა შესრულებისა გამო გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, კომიტეტის ერთის წევრისა, ხაზინადარისა, მდივნისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა. (3—6.—2)

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—10)

მ ა ღ ა ზ ი ა

ნ. ა. საბაშვილისა

ამით უცხადებს პატივცემულს ბათუმის საზოგადოებას, რომ ვინაიდგან ამ მაღაზიაში დარჩენილია დიდ-ძალი საქონელი წინა წლებისა, ბევრიც ცალობით არის დარჩენილი ისეთი საქონელი, რომელიც იყიდება დუქნობით და იმის გამო, რომ ზოგიერთ საქონლით ვაჭრობას მაღაზია სპობს, 15 ამა მარტიდგან **სამის კვირის განმავლობაში** დანიშნულია

დიდი იაფობა

ჩვეულებრივ ფასიდგან 40%—60% დაკლებით.

შევაჭრება არ შეიძლება.

რადგანაც ჭურჭლის მაღაზიაში სივიწროვისა გამო გაყიდვა საქონლისა მოუხერხებელია, ამიტომ იაფობა გაიმართება სხვა მაღაზიაში ოკლობეის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით. (10—6.—6)

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.

Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ10)

ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარდა აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუაელობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

Дозволено цензурою, Тифлисъ 26-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.